

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშუათ

კრეატივი: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანტორა კრეატივის: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газ. „Д р о б а“.

გაზეთის ღირსი: მთელის წლია—8 მან., ნახევარ წლია—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

შასი განცხადებებს დღი—3 სო-
ვბით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით
სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის
ციცროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

კრეატივის უფლება აქვს გაას-
წილოს და შეამოკლოს დასაბუქდათ
გამოგზავნილი სტატიები. დაუბუქდელი
სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

1. სექტემბერიდან ამ წლის
დასაწყისამდე

მიიღება მთელისში, „დროების“ რე-
დაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქი-
შვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში
„დროების“ აგენტებთან.

**შასი ოთხი თვის გაზეთისა—4
მან.**

შალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი
ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типо-
графіи. ВЪ редакціи газетъ „Д р о б а“.

ცალკე ნომერი

„დროებისა“

მთელისს გარდა შემდეგ ქალაქებში ის-
ყიდება.

ბორჯომი—რკინის გზის სტანციის ბუ-
ჭეტში.

მუთისში: სვიმონ ჩომახიძესთან,

ტიბოგრაფიაში, ბულვართან,

ბაშატუბანში—სტანციის ბუჭეტში,

ხაშურში (მინაილოვში)—სტანციის
ბუჭეტში,

ოჭურბეთში—თუმანოვის მაღაზიაში.

ახალციხის—უფ. ილ. პარძელოვის
მაღაზიაში.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

მანა, 19 სექტემბერს. „Голос“-ის დე-
პეშა: ბუხარესტიდან მოვიდა ამბავი, რომ
ცესარევიჩის (რუსჩუკის) ატრიალმა მდ.
პარა-ლომთან დაამარცხა მეჭიდ-პლი-
ფაშის ჯარით და ამ ბრძოლაში ოსმა-
ლოების მხრით 2,000 კაცია მოკლულ-
დაჭრილიო.

ამბობენ, ვითომც სერბიის მინისტრს
რისტინს გაეგზავნოს პორტაათვის ნო-
ტა, რომელშიაც აცხადებსო, რომ საჩ-
ქაროთ წაიყვანეთ სერბიის სამზღვარზე
დაყენებული ჯარი; უარის-თქმას ომის
გამოცხადების მიზეზად ჩაეგდებთო.

ზამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მენგრი-
ელების ლეგიონის საქმე ინგლისელის

ბეტლერ ჯონსტონის საშუალებით და-
წყებულია.

მანა, 19 სექტემბერს. „Голос“-ის დე-
პეშა: მარიენბურღისა და კრონშტატის
რკინის გზის სტანციებზე აესტრიის პო-
ლიციამ აღმოაჩინა 16 ყუთი ახალი სი-
სტემის თოფებით სავსე, რამდენიმე ყუ-
თი რომლებშიაც ოსმალთა ფესკები ეწე-
ო და აგრეთვე დიდ ძალი თოფის-სას-
როლები. ამ საქმეს, უეჭველია, მენგრი
ელების ლეგიონის პლანთან აქვს ქა-
შირი.

ოსმალეთი ნიშთან, ნოვი-ბაზართან
და ზეორნიკთან აგროებენ ჯარს.

ბორჯომის სტანციის, 16 სექტემბერს (ოფი-
ციალური). ოსმალთა დაეცნენ მარენ-
თან ჩვენ მონიაკის ატრიალს, მაგრამ
ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ, უკუ-
ქცეულ იქმნენ.

სერკოვენსთან ბრძოლის შემდეგ, ოს-
მალთებმა პანკიოისკენ დაიწიეს.

საზოგადოთ მთელს ბოლგარიაში სა-
შინელი ცუდი ტაროსია, წვიმებაა, ზო-
გან თოვლიც მოდის.

ამ თვის 9-დამ 15-მდინ შიპკოზე ჩე-
ნი მხრით სულ 15 კაცია მოკლული
და დაჭრილი. 15-ს ჩვენ მორტირას ზარ-
ბაზნებიდან დაუწყეთ შიპკოსთან სრო-
ლა ოსმალთა ჯარსა.

ომის აზრები

აზიის ბრძოლის ველიდან

ზაზეთის „Голос“-ის შარიალელი
კორრესპონდენტი უფ. ბრადოესკი შემ-
დეგ საინტერესო ამბავს იწერება შუნ-
დუხოვზე:

ზადვიდა თუ არა შუნდუხოვი ოსმა-
ლეთში; შუნდუხოვს გაჰყვა თან რამდო-
ნიმე ათასი მთიული მაჰმადიანები.

„აი ეს ჩვენგან გადასული მთიულე-
ბი შეადგენ ოსმალთების საუკეთესო
ცხენოსან ჯარს. ლენერალ შუნდუხოვს
იქ დიდ პატივს სცემენ, რადგან ამბო-

ბენ, რომ მუხთარ-ფაშის არმიამ ის ყვე-
ლაზე უმჯობესი დენერალთა ცხენოსანის
ჯარისთვისაო.“

მსვე უ. ბრადოესკი ჩვენ ჯარში მყოფს
მაჰმადიან მილიციონერებზე ამბობს:

„ჩვენსა და ოსმალთა“ მოწინავე ჯა-
რებში ხშირად ნაცნობები და ხან ნათე-
სავებიც შეხვდებიან თურმე ერთმანეთს,
რადგან ჩინები და ლეკები მუხთარ-ფა-
შის არმიამაც არის და ჩვენსაშიაც. ამ-
ბობენ, რომ ამათ ხშირად ჩხუბი მოს-
დით ერთმანეთში:—შენ რუსებს რათ
ემსახურებო? ეუბნება ოსმალთა ჯარის
ჩინები.—შენ ოსმალთებისგან რას მოე-
ლიო?—ეუბნება თავის მხრით რუსის
ლეკი. ამნაირად გამართავენ ბაასსა და,
როგორც ზევით მოგახსენეთ, ხშირად
ჩხუბი მოსდისთ; მაგრამ უფრო ხშირად
ერთი მხარე სიტყვაში დასძლევს მეო-
რესა და გადაიბირებს.

„რად გაგიკვირდებათ, რომ ლეკებსა
და ჩინებს უფრო ოსმალთებისკენ გვი-
როსთ თვალი, ვინემ ჩვენკენ, რადგან
იცით, რომ იმათ ერთნაირი ხასიათი,
ჩვეულება და ერთი სარწმუნოება აქვთ.

„ზოგნი გაიქცნენ ჩვენი ჯარიდან ეს
ლეკები და ჩინები; მაგრამ მომეტებუ-
ლი ნაწილი, ოსმალთებისკენ კი არა,
უკან დაბრუნდნენ შინისაკენ...“

მენის „Politische Correspondenz“-ში
დაბეჭდილია არზრუმიდან 8 სექტემბერს
მიღებული დეპეშა, რომ მუხთარ-ფაშა
შიპილ-თაფის აღების შემდეგ, გაჩერ-
ბულია თავისთვის და რუსებიც ხმას არ
იღებენო. მოწინააღმდეგენი აქ მხოლოდ
ერთმანეთის ჯარსა და სიმაგრებს ათე-
ლიერებენ და დამზვერაე ჯარებს წერი-
მალი შეტაკება აქვთ ერთმანერთთანაო.

შმთაგრესი ყურადღება ამ ქამად იზ-
მაილ-ფაშაზე და დენ. ტერ-ლუკასოვზედ
არის მიქცეულიო, რომელთაც ამ დღე-
ებში, უეჭველია, ფიცხელი შეტაკება ექ-
ნებათო.

ნემეცურს გაზეთს „Presse“-ში იწე-
რებიან, რომ რამდენიმე ათასი კაცი
აფხაზეთიდან გადმოსახლებულთაგანნი
მევიპტეს ხომალდებში ჩასხდნენ და
მევიპტეში დასახლებას აპირებენო.

საქართველო

ლეიპაის არაულობა

(წერილი ძახეთიდან)

თელავი, 16-ს ენკენისთვის. მკენის-თვის 2-ს ელვასავით გავარდა ხმა თელავში, რომ სამი საზოგადოების ხალხი—ბუთლიხისა, ანწუხისა და ძაბუჭისა—აჯანყებულა შუა ღელესტანში, მიუციათ პირი ღიდოელებისათვის, მიტქა-მოტქა აქეთ შარ—ბელექნელებთან და ძახეთზედ აპირებენ დაცემასაო.

მა ხმა, რამდენიც დრო მიდიოდა, იმდენი თან-და-თან ოფიციალურათა მართლდებოდა; ბოლოს კიდეც მოვიდა ამბავი, რომ ალაზან გაღმა სოფ. მიხაილოვკა დაწვეს ლეკებმაო და მისი მცხოვრებლები დახოცესო.

ამ მართალს ამბავს ძრიელ შეეშინებინა ზაღმა-მხარი, საიდგანაც ზოგი სახლობანი გამოვიდნენ თელავში და სხვანი ციხეებში შესულან.

მიხაილოვკის დაწვის შემდეგ, ლეკის ჯარი—ცხენოსანი და ქვეითი—ენახათ, რომ სოფ. ზაღმის თავში დაბანაკებულ იყო. აქ ამათ სდომებიათ თურმე წყლის გადაგდება, რომელიც მიდის ზაღმის ციხეში; მაგრამ შეუტყვიათ თუ არა ციხეში გამაგრებულ გავაზელებს, გამოსულან ციხიდან, მიჰპარვიან ლეკებს,

დაუწყვიათ თოფის სროლა და რამდენიმე ლეკი მოუკლამთ, რის გამოც იმათ უკან დაუწყვიათ და წყლის გადაგდება ველარ მოუხერხებიათ.

მაგრამ მაგიერად ამათ ის უბედურება მოუხდენიათ, როგორც ამბობენ, მეორე თუ მესამე დღეს ზაღმის ტყეში: აქ ყოფილან შეხიზნულნი რამდენიმე გლეხ-კაცთა სახლობანი სოფ. ზაღმიდგან იმ შიშის გამო, რომ, მითომც ციხეს ვერ გაიმაგრებნო, და ეს სახლობანი სრულიად ამოუწყვეტნიათ ლეკებს მთვარიან ღამეში. ეს ამბავი თ. ჯორჯაძესა და აბაშიძეს, რომელთაც აქეთ ამ შემთხვევაში მინდობილობა ალაზან გაღმა რაზმის განწყობისა და სხვ. და სხვ., შეუტყობინებიათ ლაგოდახში და მოუთხოვნიათ იქაური ჯარის უფროსისაგან რამდენიმე ცხენოსანი ყაზახი.

როდესაც ეს ყაზახები მომავლებულან, ამათ უცებ ს. მეჯანის (სილ. მაზრისა) ბოლოში, ალაზან გაღმა, დაუნახავთ ცხენოსანი ლეკები, რომელთაც მოუტაცნიათ სოფლების ბოლოებში ტყეები და რამდენიმე ასი საქონელი და სისწრაფით მიერეკებიან თურმე გაღმა. მაშინათვე, რასაკვირველია, გამოჰკიდებიან ყაზახები, დაუშენიათ თოფები, მოუკლამთ და დაუტყრიათ სამოცამდისინ ლეკი, და დაუტყრევენიათ ტყეები და საქონელი; მაგრამ, საუბედუროთ, ზოგი-

ერთი ტყეთაგანი გაშხარა, მსხვერპლათ ცხელი ტყვიისა აჩუქებიათ.

ამ წინა დღეებში ქართველებმა გაღმიდგან ერთი ურემი ლეკთა ტყეები გამოარეკეს, რომელთა შორის დედაკაცი და პატარა ბავშვებიც ერივნენ და მიაქციეს იგინი იქ, სადაც ჯერ იყო მათი ყოფნა....

ორიოდე სიტყვა იმაზედაც—თუ როგორ მოიქცა ამ შემთხვევაში თელავისა და საზოგადოთ ძახეთის ხალხი.

თელავის ხალხი და საზოგადოთ ძახეთისა ისე უგუნურათ აღარ მოქცეულა, როგორც 31-ს მაისს და 2-სა და 3-ს თიბათვეს, თუმცა ზოგიერთნი კი გაიპარნენ ღამე ტყეში, (ღამე მისთვის, რომ აღკრძალული იყო და არის ტყეებში გახიზნა) და დაანებეს სთვლებს თავი.

სოფლებში შეადგინეს ჯარები, რომლებიც იცავენ თავიანთ სოფლებს და საშიშ ადგილებს ჰყარაულობენ.

თელავიდანაც გამოვიდა ათასამდისინ შეიარაღებული კაცი, რომელთაც დაენიშნათ ასის-თავეები; ამათგან ორას-ორასი კაცი, ჯვრით, ღამე ყარაულობს და როდესაც საჭიროება იქნება, ყველანი მზათ არიან მტრის დასახვედრათ...

ღან მთიიკაცს მამე მთიიკა — მწიქანი X

მადსკობიძისა შონიძე: ანკინოსი

ბიბლიოგრაფია

წმინდა სასჯალთაჲდა, რომელთაცა გადასჰვათჲნ მომრიგებამდის მსაჯულნი,

თარგმნილი და გამოცემული ნ. ზამრეკელის-მიერ, თბილისი. 1877 წ.

უბედურია ისვისაც აქვს კანონიერი უფლებანი და იმათით სარგებლობა კი არ შეუძლიან უმეტრებისაგანო. ნამდვილი განათლება შესდგება მარტო მეცნიერებაების და მწერლობის შესწავლაში კი არა, არამედ ცოდნაშიაც კაცისაგან თავის უფლებებისადა ვალისათვის ქვეყნის წინაშე.

ჩვენ გლეხს და საზოგადოდ მდბაბლ ხალხს რა უფლებაცა აქვს იმითიც ვერ სარგებლობს. ეს წარმოსდგება სხვათა შორის იმიტომაც, რომ უსაჭიროესი კანონებიც კი არ არიან ჯერ ნათარგმნი ქართულად და რუსული ხომ ბევრამაჲრ იცის იმდენადვე სიტყვის

აი რატომ დიდის სიხარულით მიეგებეთ უფ. ზამრეკელის შრომას—შემომოყვანილ „წესდების“ თარგმანს. ჩვენ

მდბაბლ ხალხს ხშირად აქვს საქმე მომრიგებელ მსაჯულთან და ეს წესდება გააცნობს ამ ხალხს თავის უფლებებთან და ვალთან მსაჯულის წინაშე. ამ წიგნმა რო ათიოდ გლეხი ან ხელოსანი მაინც ააცილოს ადვოკატის ბრჭყალებს ან მსაჯულის მძლავრობას, ისიც დიდი სარგებლობა იქნება, ვფიქრობდით ჩვენ.

ზადგიკითხეთ „წესდება“ და იმაში იმდენი ნაკლულევანება შევნიშნეთ, რომ უსარგებლოთ გვეჩვენა ეს სასურველი წიგნი და აი რატომ: (მით უფრო ხალხისთ ვლაპარაკობთ ამ წესდებაზე, რომ უფ. ნ. ზამრეკელი სთარგმნის სხვა უფრო ძნელ ვადსათარგმნელ კანონებსაცა, სადაც შეხვდებით იურიდიულ ტერმინებს, და იქნება მომავალს ეს ჩვენი კრიტიკა უსარგებლოთ არ დარჩეს შრომის-მოყვარე მთარგმნელისათვის)

ამას წინათ „დროებაში“ ნათქვამი იყო, რომ „წესდების“ მთარგმნელს ძველებურად ჰყვარებიაო წერა და თითქმის ყოველ სიტყვას ათავებს „თა“ და „სა“—თ. ეს მართალია, უფ. ზამრეკელს სდომებია ძველებურ ღრმა ენით თარგმნა, მაგრამ ისე ვადუთარგმნავს შემო-

ხსენებული კანონები, რომ იმათ ვერ გაიგებს ვერც ძველის და ვერც ახალ ქართულ ენის მკოდნე; უფ. ზამრეკელის „წესდებას“ ვერ გაიგებს ვერც რურისტი, თუ ამან ზეპირად არ იცის ეს წესდება.

აი მაგალითები:

„ეს კანონი არ გავრცელდების იმ შემთხვევათა ზედა, რომელთაცა შინა დამნაშავენი შეიძლებიან ქვემდებარებდნ უმეტეს მკაცრ სასჯელთა დანაშაულ მოქმედებათა ზედა, რომელნიცა მოუხდენიათ უწინარეს გასვლისა სამწღვართა გარეთ, ანუ მის დროსა.“ (31 გვ.) ან:

„დამალვა დაგირაცებულ ნივთთა, იცნობების დაჩემებად ქონებისა რწმუნებულ ცნობილ ხმარებნსათვისა.“ (64 გვ.)

ამისთანაები ბევრია შემოხსენებულ წესდებაში. არის რასაკვირველია რამდენიმე იმნაირი ადგილიც, რომლის აზრს მიხვდებით, მაგრამ ამისთვის საჭიროა თავის ტეხა და ორჯერ-სამჯერ ვადაკითხვა ერთ და იგივე წანადადებისა.

რისგან წარმოსდგება ესა? ნუთუ ისე ძნელი ვადსათარგმნი იყო ეს „მომრიგებელ მსაჯულთა წესდება? არა გვეგონია, აქ მოიხსენებიან მხოლოდ ჩხუბი, ლანძღვა და სხვა წერილობანი დანაშაუ-



დღიური

* * * შარიალის ბანაკში 9 სექტემბერს უმაღლესად ხელმოწერილის ბრძანებით, შაქათალის მაზრა სამხედრო მდგომარეობაშია გამოცხადებული.

* * * ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ძახეთილამ შემდეგი შენიშვნა:

„ხალხი ამ ორ უხედში დიდ მოუსვენარ ცხოვრებაშია, როგორც ამ ომიანობის გამო, ისე კიდევ მოუსვენლობისა ღვანისა და სინდ-ფეტვისა; წელს ღვინომ თითქმის ერთ ნახევარზე მეტი იკლო შარშანდელზედ. თუ მოდის რამ, ისევე აღაზან გაღმა, მაგრამ საუხედუროთ ამითაც გაუფუქსავატლათ ამ შიშინანობის გამო; სინდ-ფეტვი აქეთკენ წელს თითქმის სრულყოფით არ მოვიდა...“

* * * მართომ გაძვირდა ჩვენს შალაქში თითქმის ყოველგვარი აუცილებელი საჭირო ნივთები და ხორაგეული. სხვათა შორის, ნავთი ამ ქამად შალაქში 16—18 კაპეიკად იყიდება, დაბალი ღვინო თუნგი ოთხ აბაზად, ხან მანეთათაც.

ზანსაკუთრებით დიდი საჩივარი ისმის ლარბ ხალხში პურისა და ფქვილის გაძვირებაზედ.

სხვათა შორის

ამ ჩვენს განათლებულს დროში სირცხვილიც არის, რომ კაცმა მკითხავს მიმართოს და მას რაიმე დაუჯეროს. მაგ-

ლობაებ; აქ თითქმის არც კია სრულგზობით რურიდიკული ტერმინები.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ უფ. ზამრეკელს არ სდომებია თავის შეწყუხება ამ წესდების თარგმნით. მთარგმნელს აუღია მხოლოდ წესდების სიტყვები და ცალ-ცალკე უთარგმნია ისინი.—სულ ერთიაო, უფიქრნია იმას, ამ წიგნში სიტყვების მეტი ხომ არაფერია სათარგმნო. ამის დასაჯერებლათ, მკითხველო, გთხოვთ შეადაროთ ზემო მოყვანილი „წესდების“ ადგალები შემდეგ რუსულ სტრიქონებთან:

„Это правило не распространяется на тѣ случаи, въ которыхъ виновные могутъ подлежать болѣе строгому наказанію за преступныя дѣйствія, совершенныя ими прежде отлучки за границу, или во время оной (62 ст.).“

„Утайка вещей, полученныхъ въ закладъ, признается присвоениемъ имущества, ввѣреннаго для извѣстнаго употребленія.“ (Кас. Рѣш. къ 177 стр.)

აი ამავე მიზეზით ვტყობულობთ ნათარგმნ „წესდებიდამ“, რომ კანონის მუხლს ჰქონია გონება და ისიც წრფელი (იხ. 69 გვ.)

რამ, როგორც დამარწმუნეს, მკითხვებშიაც ზოგიერთი კეთილ-სენინდისიანი და სანდო ყოფილა.

საქმე აი რასში მდგომარეობს:

მართი ჩემი ახლო კარის-მეზობლის ცოლს რამდენიმე თვეს ახირებულად ახველებდა, რაგრამ რაკა ხველების მეტი არა აწუხებდა-რა, ამისათვის ამ ქალმა ამ თავის ავთ-მყოფობას ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია, რადგან, ალბათ, არ იცოდა-თუ რა შედეგი ექნებოდა ამ სატიკიარსა. ბოლოს საქმემ იქამდის მიახწია, რომ ნახველს სისხლის ტანება დაუწყო. ახლა კი დარწმუნდა ეს საწყალი ქალი, რომ მისი ხველება უბრალო ხველება არა ყოფილა, დაფაცურდა, მაგრამ თვითონ რას განდებოდა? საჭირო იყო შემწეობა და დარიგება ექიმისა, რომელიც მან მოიწვია.

ბეჯითად არ შემიძლიან ესტიკა-რა საშუალება იხმარა ექიმმა, რა ნუგეში და შემწეობა მისცა მას (უთუოთ არაფერი; ეს ქალი ჯიბეთხელადის ცოლია); მხოლოდ ეს ნამდვილად ვიცო, რომ ჩვენი ავთმყოფი მესამე თუ მეოთხე დღეს მკითხავთან გარბოდა. მკითხავს აი რა ეთქვა მისთვის:

„შენ, შეილო, ხატის (სახელს უწოდებს ხატსა) მიზეზითა ხარ ავთ, ის გიკვებავს შენ საღმთოს, საწირავს და ღამის თევას.“

მაგრამ ზოგჯერ სიტყვების თარგმნაც დასძინებია უფ. ზამრეკელს; ეს ჰყოფს სიტყვებს რამდენიმე ნაწილათ და ყოველ ნაწილს ცალკე სთარგმნის. მაგალითად: „дѣйствительно“ ნ. ზამრეკელის აზრით „ნებაყოფლობით“ კი არ არის, არამედ არის „კეთილ-ნებობით“, რადგანაც ზემო მოყვანილი რუსული სიტყვა შედგენილია ორ სიტყვიდამ: „дѣйстві“ და „вольно.“

ამავე მიზეზით ზამრეკელის აზრით „предпріятіе“ გახლავთ „წინა მიღება“. ასე რომ ეცადოს „წესდების“ მთარგმნელი, მივა ეს ბოლოს იქამდი, რომ რუსულ კანონებს ქართულ ასოებით დაბეჭდავს და თარგმანი გგონება.

„წესდების“ კანონებთან დაბეჭდილია გამომცემლისაგან სენატის ზოგიერთი გარდაწყვეტილებანიც; მაგრამ ეს არის საკვირველი, რომ უფ. ზამრეკელს ამოურჩევია იმათში გადასათარგმნავათ მხოლოდ უმველესები; ასე გგონია, არ შეიძლებოდა ამორჩევა უკეთეს და ჩვენთვის უფრო საჭირო გარდაწყვეტილებებისა:

ძარგი იქნებოდა აგრეთვე, რომ ამ წესდებასთან გადათარგმნილიყვნენ და დაბეჭდილიყვნენ კანონები იმ დანაშაუ-

მს არაფერი, ამას ყველა მკითხველმაც ყოლა, ეს სიტყვები საერთოა ყველამკითხვებისათვის; ამ მკითხავს უფრო ღრმად გამოუკვლევიან ამ ქალის ავთ-მყოფობა, მისი მიზეზები და უთქვამს:

„მს ხატი კიდევ იმისთვის გიჯავრდება, რომ შენ სულ დარდიანათა ხარ; ამისათვის გობრძანებს, რომ არას ღროს არ იღარდო, ყოველთვის ჩაცმულ-დახურული და მხიარული იყო, დილა საღამოს ისეირნო, ბევრი საქმე არ გააკეთო, კარგი სვა და კარგი ჰამო, და თუ შენ ამავებს ყველას კარგათ შეუსრულებ, უმკველად კარგათ იქნები.“

არ ვიცო, როგორ მოეწონა ამნაირი მკითხავთა ამ ავთ მყოფი ქალის ქმარსა; მაგრამ, ჩემის ფიქრით, ეს მკითხავი სწორეთ ჯილდოს ღირსია: ჩვენში ყველა ექიმს არ შეუძლიან ავთ მყოფის პირველ ნახვითვე იცნოს მისი სწეულება და მას ჯეროვანი წამალი მისცეს; მე ვიცო იმისთანა ექიმი, ექიმი კი არა მედიცინის დოქტორი, რომელსაც ჩემი ცივებ-ცივლებმა სახლათ მოეჩვენა, ავთ-მყოფი, რომელსაც სუსტი და ჩამხდარი კუჭი ჰქონდა, იმან მიიღო სიფილისის ავთ-მყოფად და წამალსაც ისეთსა ახმარებდა!

მამ ზოგიერთ შემთხვევაში ვისი რჩევა უფრო მანებელია, გაიძვირა მკითხავ-

ლებებზედაც, რომელთაც არჩევს ჩვენში მომრიგებელი მსაჯული და ზემოსხენებულ „წესდებში“ კი ვერ იპოვით. ხომ იცით, რომ ეს „წესდება“ დაწერილია რუსეთის მომრიგებელ მსაჯულთათვის, რომელთაც აქვთ ჩვენებზე ნაკლები სამოსამართლო უფლებანი.

წიგნი, რომელსაც ვარჩევთ, გამოცემულია დაუდევნელად. ისე იმაში ორ სამ სტრიქონს ვერ წაიკითხავთ, რომ არ შეხვდეთ ან ყირამალა ასოებს ან მოკვნიტილ სიტყვებს. ამის გარდა ამ წიგნში არის იმისთანა შეცდომებიც, რომლებიც არ ვიცით ვის დავაბრალოთ სტამბას თუ მთარგმნელს. წიგნი პატარა ფორმატისაა, 96 გვერდით და ღირს ათი შაური. ძვირი წიგნია, თუ მოვიგონებთ, რომ გამომცემლს ის არ დაუჯდებოდა ორ-სამ შაურზე მეტად.

მაგრამ იქნება უფ. ნ. ზამრეკელი ძვირად აფასებს თავის შრომას—სხენებულ „წესდებში“ ნაპოვნ სიტყვების ჩინებულ თარგმნას.

ვისა თუ უნიკო ექიმისა, რომელსაც, გარდა თავის ჯიბისა, ყველაფერი ქვეყანაზე დაიწყებია?

ნ. ტატივი

ბანსხალეზანი

გართანოვის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

პლატონ იოსელიანისაგან გამოცემული ქართულ იწიგნი: **თამარ მეფის და მის მამულის შესახებ**—აბდულ-მესსია შავთელისაგან და აგრეთვე მეორე წიგნი ჩახრუხანძისა.

თითო წიგნის ფასი თითო რაზი: (3—2)

პატივი მაქვს გამოუცხადო თფილისის საზოგადოებას, რომ მე ვაკეთებ საუკეთესო შავსა და ფერად-ფერად

მელანს და აგრეთვე ვყიდი წაღებისა და ეკიპაჟების ბორბლებისათვის ისეთს **გაზს** რომ **წყალი ვერ**

გაატანს. მრთს ბოთლს მელანს ვყიდი: უბოთლოთ 50 კაპ, ბოთლიანათ 60 კაპ.

მსურველს შეუძლია ამ აღრესით მომართოს: **არწრუნის ქარვასლაში, № 82 სტაჟან ხუდადოვი**

(3—2)

გამოვიდა და ისყიდება თფილისში, გართანოვის და ბრიჭუჩიანცის საწიგნო მაღაზიაში:

“ქვრივის სიგლერა“ და სხვები

მუთაისში: სვიმონ ჩომახიძესთან, გუბერნიის სტამბაში, ბულვარის პირ-და-პირ. ფასი ყველგან ერთი რაზი-ნ კაპ.

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის **ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარე**, წესდების მე-83 მუხლის საფუძველითა და აგრეთვე ამავე კომიტეტის 9 ენკენისთვის 1877 წლის შემდგარის დადგინების **მანდრატ-ნიშნის** დამარსებელთა უჩვეულებრივო საზოგადო კრებისათვის, **ტრეზორერ** და ნიშნულია მომავალი ღვინობისთვის 10-ს ამა 1877 წლისა, დილის 10-ს საათზედ. კრების სხდომები იქნება საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, რომელიც იმყოფება: **სოლოლაკის ქუჩაზე, ნ. შორაღნოვის სახლებში.**

მოსალაპარაკებელი საზნები:

- 1) ბანჩევა საზოგადო—სასარგებლო საჭიროებათა, რომლისთვის უნდა დაინაზროს წესდების მე-90 მუხლით დანიშნული 45% (ორმოც-და-ხუთი ნასალი) წლიური ნაღდი შემოსავლისა. (მთელი ჯამი 17, 540 მან. 80 კაპ. რომლიდგანაც 2,000 მან., 1876 წლის საზოგადო კრების გადაწყვეტილების თანახმად, მიეცა ზედამხედველ კომიტეტს განკარგულებაში).
- 2) წესდების მე-68, 77, 78, 82, 83, 84, 87 და 88 მუხლების შეცვლაზედ, რომელიც, თანახმად 18 მაისის 1877 წლის დამწესებელთა საზოგადო კრების გადაწყვეტილებისა, წარდგენილი იყო დასამტკიცებლად შინანსთ მინისტრთან
- 3) თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ზოგიერთ მუხლების შეცვლისა და დამატების აუცილებელ საჭიროებაზედ (მაგ წ 6, 12, 15, 18, 19, 20, 22, 28, 39, 50, 66, და 83).
- 4) შირაჟი მამულების დაფასების შესახებ ინსტრუქციის პროექტი, რომელიც წარდგენილი იქნება საზოგადო კრებაში განსახილველად და დასამტკიცებლად.
- 5) მოხსენება, თანახმად შინანსთ მინისტრის წინადადებისა, იმის თაობაზედ, რომ ბანკის მოვალეთ, რომელიც მომქმედ არმიაში ითვლებიან, ახალი ვადა მიეცესთ როგორც პირველი ორი ნახევარ წლის ფულის შემოტანაზედ—1 ივლისის 1877 წლიდან 1878 წლის 1 ივლისამდინ, აგრეთვე იმ ფულზე, რომელიც დღემდინ უნდა ყოფილიყო შემოტანილი.
- 6) მოხსენება იმაზედ, რომ შინანსთ მინისტრმა უარი განაცხადა თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შუამდგომლობაზედ, რომ ძველკაზის საზოგადო პირ-კაზის ვალი გადატანილ იქმნეს თფილისის საადგილ-მამულო ბანკში.
- 7) მოხსენება იმაზედ, რომ მისი იმპერატორებით უმაღლესობის დიდის მთავრის ძავეკასიის ნამესტნიკის სახელობაზე დაარსებული პრემია მიხაილოვის არტილერიის სასწავლებელში მუდამ მზათ ჰქონდეს ბანკსა და აგრეთვე სტიპენდიის ფული, რომელიც მისი იმპერატორებით უმაღლესობის მღვათეოდორეს ასულის სახელობაზედ არის დანიშნული ძავეკასიის საქალებო ინსტიტუტში.
- 8) რუსეთის საადგილ-მამულო ბანკების წარმომადგენელთა კრებებში მონაწილეობის მიღების აუცილებლობაზედ.
- 9) იმაზედ, რომ ბანკის ზედამხედველ კომიტეტს მიეცეს საზოგადო კრებისაგან უფლება, რომ დაითხოვოს ისეთი წევრნი დამფასებელ კომისიისა, რომელიც თავიანთ მოვალეობასა და დანიშნულებას რიგიანათ ვერ ასრულებენ.
- 10) მოხსენება თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის დამფასებლებზედ: 1) რომ დამფასებელ კომისიის წევრთა სამსახურის ვადასაც შეეზოს წესდების მე-64 მუხლი; 2) დამფასებელ კომისიის წევრთათვის კანდიდატების ამორჩევა.
- 11) ამორჩევა ბანკის გამგეობის წევრისა თავ. დავით ივანეს ძის პელოვის მაგიერად, რომელიც (თანახმად წესდების წ 65-ისა) წილის ყრით გამოვიდა ბანკის გამგეობიდან.

(3—1)

რკ. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ბელეგრადში	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 13 ენკენის.		თფილისი, 20 ენკენის.	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	მუთაისს, შოს	1	მრთი პანეთი ღირს:		შვე. თეთ. ბანჯისა, ფთ.	160
ბორი	11 58	9 43	2 40	1 23	ბორს, დუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 24 პენსი.	78	შვეილი წითელი.	140
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებსას, მოსკოვს	2	პარიჟში 259 სანტიმი.	81	ჭერი ფუთი.	110
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, მარშავას	2	მსკონტი(სარგებლისფასი)	71 1/2	ბაშბა პრევისისა, ფუთი.	8
შვირილა	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	ბანკის ბილეთი 5%	94	— ამერიკისა, ფუთი.	850
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	მოგებიანი(პირველისესხი)	208 25	ბაპენტილი ბაშბა ფთ.	9
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მოგებიანი (მეორე სესხი)	208 75	მატყლი თუშური ფთ.	7
აბ-სენაკი			8 57	4 76	ფოზბა		ბირაოს ფურცლები:		— თარაქამისა ფთ.	350
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		თფილ. სააზნ. ბანკისა.		აბრეშუმი ნუხური სტ.	3
შოთი	9 13				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ხერსონის ბანკის (5 1/2	85 25	ჭონი, ფუთი.	580
აბ-სენაკი			1 18	66	მ.ზურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—		მოსკოვის (5%)	85 50	ჭონის სანთელი ფუთი.	780
სამტრედია	11 16		2 61	14	სამშ. და შაბ. ბ) მუთაისიდან:		აქციები:		სტეარინის სანთელი, ფთ.	1250
რიონი	12 13		3 41	69	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		მდებსის სავაჭრო ბანკის	177	ხორცი ძროხისა, ლიტ.	63
შვირილა	1 18	ლაშე	3 98	21	დღე, კვირას გარდა. მ.ზურგეთს—		შოთი-თფილ. რკინ. გზის		— ცხერისა, ლიტრაჟ	63
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	ორშ. და პარასკ.		შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	სპირტი, გრადუსი	12
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ	ძავეკაზის და მერკურის.	225	— ფხვნილი ფუთი.	7
ბორი	7 5	4 8	7 36	4 9	და სამზღვარ გარეთ:		პირვ. საზღვევ. საზოგ.	745 50	შავა გრგვალი, ფუთი.	26
მცხეთა	8 50	6 59	9 8 5	4	ლია წიგნის	4	პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50	ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	11
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	მქობ 1/2 იმპერიალი.	790